ა(ა)იპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
23.08.2013 N 148
თბილისი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე
რეგისტრაციის ვადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს კანონის ,,პროფესიული განათლების შესახებ" საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2013 წლის 25 აგვისტოდან 14 სექტემბრის ჩათვლით. რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია ყოველდღე (შაბათ - კვირისა და გამოსასვლელი დღეების გარდა) 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N350);
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მსურველთა რეგისტრაციის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
3. მსურველთა რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტს;
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ. კლიმიაშვილს;
5. ბრძანება განთავსდეს ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ლ. კლიმიაშვილი
სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ბ. მაისურაძე